



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 118

2016 წლის 21 ნოემბერი



ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 ოქტომბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშური, თამარ მეფის ქუჩა № 9-ში მდებარე ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ № 96 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 ოქტომბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშური, თამარ მეფის ქუჩა № 9-ში მდებარე ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ № 96-ე განკარგულებით დამტკიცებულია ხაშური, თამარ მეფის ქ. № 9-ში მდებარე ქონების პრივატიზაციის გეგმა, ვინაიდან პრივატიზაციის გეგმაში ქონების დასახელებაში არ არის დაკონკრეტებული მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშური, თამარ მეფის ქუჩა № 9-ში მდებარე ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 3 ოქტომბრის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს № 96-ე განკარგულებაში და განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშური, თამარ მეფის ქუჩა № 9-ში მდებარე უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“;
2. შევიდეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშური, თამარ მეფის ქუჩა № 9-ში მდებარე ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 3 ოქტომბრის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №96-ე განკარგულებით დამტკიცებულ დანართში და დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი № 1 თან ერთვის I ფურცლად);
3. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ.კოსტავას ქ. №15);

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშური, თამარ მეფის ქუჩა № 9-ში მდებარე უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა

1) დასახელება: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართობი 3766 მ²), მასზე განთავსებული შენობა ნაგებობებით № 1 და № 2 .

მდებარეობა: ხაშური, თამარ მეფის ქუჩა № 9 (საკადასტრო კოდი 69.08.58.236)

საწყისი საპრივატიზებო საფასური: 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი.

აუქციონის ფორმა: პირობებიანი ელექტრონული აუქციონი.

გამომდინარე იქიდან, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს ხაშურის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ, შემსყიდველს ეკისრება ვალდებულება შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა) უძრავი ქონების მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები.

ბ) ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის სამშენებლო სამუშაოების წარმოება წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს სს „საქართველოს რკინიგზა“ - სთან.

გ) საჭიროების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მათი გადატანა.

აუქციონის შემდგომ საფასურის გადახდის პერიოდი: ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე.